ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724113001
თარიღი:22/04/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა N-02

დ.ლენტეხი 17 აპრილი 2024წ.

მიმდინარე წლის 17 აპრილს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. ბიუროს სხდომას ესწრებოდა ბიუროს 12 (თორმეტი) წევრი. ესწრებოდა მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხები გავლილია საკრებულოს შესაბამის კომისიების სხდომებზე და კომისიების დასკვნების მიხედვით საკითხები მზად არის საკრებულოს მორიგ სხდომაზე გასატანად.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი:

1. საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება.

/მომხს: სხდომის თავმჯდომარე გ. გაზდელიანი/

2. სხვადასხვა.

ბიუროს სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით: მომხრე -12

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი.

1. მოისმინეს: ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში - 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში.

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3. საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

/მომხს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების 2024 წლის სამოქმედო გეგმების დამტკიცების თაობაზე.

/ მომხს: შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები/

5. **სხვადასხვა**.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა:

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგს დაემატოს საკითხები:

1. სოფ. ლექსურის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების განხილვა.

2. ჭავჭავაძის ქუჩის მოსახლეობის განცხადების განხილვა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხები განიხილა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ. მომზადებულია დასკვნა აღნიშნული საკითხების საკრებულოს მორიგ სხდომაზე გატანის მიზანშეწონილობაზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -12

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი N-07 სხდომის დღის წესრიგის პროექტი აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში - 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში.

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3.საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

/მომხს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

4.ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების 2024 წლის სამოქმედო გეგმების დამტკიცების თაობაზე.

/ მომხს: შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები/

5.სოფ. ლექსურის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების განხილვა.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ლიპარტელიანი/

6. ჭავჭავაძის ქუჩის მოსახლეობის განცხადების განხილვა.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა დამთავრდა 13 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი